ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01251852969**
გაცემის თარიღი: **07/07/2025**

ადრესატი: გიორგი გორგოძე
პირადი ნომერი: 42001012408
მისამართი: ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N 26 ბ. 5

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2025 წლის 4 ივლისის №01251852063-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2025 წლის 4 ივლისის №01251852063-16 განცხადება და შეთანხმდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.msda.ge/index.php/s/ltRcI7rXnYBjJGz

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

07/07/2025

MIA 2 25 02106614

მოქალაქე გიორგი გორგოძეს

ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა , N 1 ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N 01.12.12.002.077) სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობის და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი დროებითი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ , ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (07.07.2025წ 16-01251852969) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას არსებული სტანდარტის შესაბამისად, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და მიმდებარე ტერიტორია აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით





სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250833436
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.07.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო სალაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ც. დადიანის #105
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 660 383
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	57469869684525

ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ც. დადიანის #105, გამოცხადდა: პაატა ლაპიაშვილი (დაბადებული 02.01.1965წელს, რეგისტრირებული მისამართზე:საქართველო, ქალაქი თბილისი, სანზონის დასახლება, კორპუსი 18გ, ბინა 46, პირადი ნომერი 01019002696), მან მოითხოვა წარმოდგენილ თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ მან პირადად ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

ორ ეგზემპლარზე ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებისათვის გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ს (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების; შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 12,00 (თორმეტი) ლარი + დღგ 2,16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი) და + ასევე 5 (ხუთი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად სულ 19,16 (ცხრამეტი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო სალაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თანხმობა

შპს ,,გუნა-98" (ს/კ 200239704) წარმოდგენილი დირექტორის პაატა ლაპიაშვილის (პ/ნ 01019002696) სახით თანხმობას ვაცხადებ შპს ,,თომა -7"-მა (ს/კ 200239679) თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.12.12.002.077 შეათანხმოს სამშენებლო ღობე, იმგვარად რომ ღობის ქოლგა განთავსდეს შპს ,,გუნა-98" -ის საკუთრებაში არსებულ მიწაზე ს/კ: 01.12.12.002.042

შპს ,,გუნა-98" -ის
ს/კ 200239704
დირექტორი
პაატა ლაპიაშვილი (პ/ნ 01019002696

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250796290
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.06.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო სალაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ც. დადიანის #105
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 660 383
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	98733539190025

ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან, რომლის სანოტარო ბიურო, მდებარეობს ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა #105, გამოცხადდა: სოსო ჯაყელი (დაბადებული 02.06.1992 წელს, გაცხადებული მისამართი: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 45, პირადი ნომერი 01024065763) მან წარმომიდგინა წინამდებარე თანხმობა და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შევამოწმე. შემდეგ მან პირადად ჩემი თანდასწრებით შეასრულა თავისი ხელმოწერები რასაც ვამოწმებ.

თანხმობის ერთ ეგზემპლარზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ს (“სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების” შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 6.00 (ექვსი) ლარი + დღგ1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) და + ასევე 5 (ხუთი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად სულ 12,08 (თორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო სალაძე

სანოტარო მოქმედების და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

27.06.2025

თანხმობა

შპს ,,მაირი-98" (ს/კ 200239688) წარმოდგენილი დირექტორის სოსო ჯაყელის (პ/ნ: 01024065763) სახით თანხმობას ვაცხადებ შპს ,,თომა -7"-მა (ს/კ 200239679) თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.12.12.002.077 მეათანხმოს სამშენებლო ღობე, იმგვარად რომ ღობე ან/და ღობის ჭოლგა განთავსდეს შპს ,,მაირი-98"-ს (ს/კ 200239688) საკუთრებაში არსებულ მიწაზე ს/კ: 01.12.12.002.012.

ასევე, შპს ,,მაირი-98" (ს/კ 200239688) თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ შპს ,,თომა -7"-მა (ს/კ 200239679) მიწაზე ს/კ 01.12.12.002.077 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეათანხმოს ნებისმიერი პროექტი იმგვარად, რომ შპს ,,თომა -7"-ს ჭონდეს უფლებამოსილება შპს ,,მაირი-98"-ს მიწაზე ს/კ: 01.12.12.002.012 გადაადგილოს სამშენებლო ტექნიკა.

გარდა ზემოხსენებული უფლებამოსილებისა შპს ,,მაირი-98" (ს/კ 200239688) შპს ,,თომა -7"-ს (ს/კ 200239679) ანიჭებს ნებისმიერ სხვა უფლებამოსილებას, რაც პირდაპირ არ წერია თანხმობის ტექსტში, თუმცა აუცილებელია შპს ,,თომა -7"-სთვის მიწაზე ს/კ: 01.12.12.002.077 პროექტის შესათანხმებლად.

შპს ,,მაირი-98"-ს
ს/კ 200239688
დირექტორი
სოსო ჯაყელი (პ/ნ: 01024065763) სოსო ჯაყელი

თანხმობა

შპს „ლაგი - 98" (ს/კ 200239697) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გოგოლაშვილის (პ/ნ 01006005028) მინდობილი პირის ნაზი მღვდელაძეს (პ/ნ 01025022380) სახით თანხმობას ვაცხადებ შპს „თომა -7"-მა (ს/კ 200239679) თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.12.12.002.077 შეათანხმოს სამშენებლო ღობე, იმგვარად რომ ღობე ან/და ღობის ქოლგა განთავსდეს შპს „ლაგი -98"-ის საკუთრებაში არსებულ მიწაზე ს/კ: 01.12.12.002.011.

ასევე, შპს „ლაგი - 98" (ს/კ 200239697) თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ შპს „თომა -7"-მა (ს/კ 200239679) მიწაზე ს/კ 01.12.12.002.077 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეათანხმოს ნებისმიერი პროექტი იმგვარად, რომ შპს „თომა -7"-ს ქონდეს უფლებამოსილება შპს „ლაგი -98"-ის მიწაზე ს/კ: 01.12.12.002.011 გადაადგილოს სამშენებლო ტექნიკა.

შპს „ლაგი -98"-ის
ს/კ 200239697
წარმომადგენელი
ნაზი მღვდელაძე პ/ნ 01025022380 ნაზი მღვდელაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250779678
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.06.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო სალაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ც. დადიანის #105
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 660 383
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	60287018349125

ჩემთან, ნოტარიუს ნინო სალაძესთან სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 105, გამოცხადდა: ნაზი მღვდელაძე (დაბადებული: 08/06/1955 წელს, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 29, ბინა 22, პ/ნ 01025022380). მან წარმომიდგინა წინამდებარე განცხადება და მოითხოვა თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მისი ვინაობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ მან პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წინამდებარე დოკუმენტს, რის შემდეგაც მე ვამოწმებ ხელმოწერის ნამდვილობას და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების სისწორეს.

ერთ ეგზემპლარზე ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმებისათვის გადახდილია საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის შესაბამისად 6,00 (ექვსი) ლარი + დღგ 1,08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად + 5 (ხუთი) ლარი იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, სულ 12,08 (თორმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო სალაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, ქუჩა მექანიზაცია №1,
ს/კ. 01.12.12.002.077 (IVკლასი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მშენებლობა).მშენებლობის პერიოდის, დროებითი სამშენებლო ღობისა და ტექნიკის საგზაო მოძრაობის ორგანიზების, დროებითი სქემა.




ქალაქი თბილისი, ქუჩა მექანიზაცია №1,
ს/კ. 01.12.12.002.077 (IV კლასი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა). დროებითი სამშენებლო ღობის მონტაჟი დემონტაჟის, საგზაო მოძრაობის ორგანიზების, დროებითი სქემა.
საწარმოო კორპუსი
საწარმოო კორპუსი
01.12.12.002.077
მშენებარე კორპუსი
01.12.12.002.078
არსებული შენობა
პირობითი აღნიშვნები
სერვიტუტის ფენა
ტრანსფორმატორი
საწარმოო კორპუსი
მშენებარე კორპუსი
სასადგომო(ნიშები) ხაზი.
მშენებარე კორპუსი
მედროშე 2 ადამიანი.
ყვითელი ციმციმა ტ7-19წ.
სასიგნალო ლენტი
არსებული ბეტონის ჯადელი
არსებული დროებითი შესასვლელი
მოსაწყობის დროებითი შესასვლელი
სამშენებლო ტექნიკის, ნაყადის მოძრაობის მიმართულება.
პირობითი აღნიშვნები